ქუთაისის მუნიციალიტეტის მერის
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ოქმი №5

ქალაქი ქუთაისი
21 სექტემბერი, 2018 წელი
ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ნოდარ ჯიქია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი;
2. თემურ ამყოლაძე - მწერალი;
3. ინგა აბრამიძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
4. მამუკა თევდორაძე - ბიზნესის წარმომადგენელი;
5. მეგი ნიჟარაძე - ბიზნესის წარმომადგენელი;
6. ხვიჩა ვაშაყმაძე - ქუთაისის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი;
7. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი "თაობათა დიალოგი" თავმჯდომარე;
8. ნინო ხუხუა - ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი;
9. ზენია თხილავა - მეცნიერ-სპეციალისტთა და ჟურნალისტთა სამეცნიერო-შემოქმედებითი კავშირ "ინტელექტი"-ს პრეზიდენტი;
10. ქეთევან ბერძენიშვილი - არასამთავრობო ორგანიზაცია უფლებებისა და განათლებისათვის;
11. თამარ ხეცურიანი - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
12. გიორგი ჭიჭინაძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
13. თეონა გოგიშვილი - სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების რეგიონალური კოორდინატორი.

რეგისტრაციის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 20 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 13, 7 არ ესწრებოდა, საპატიო მიზეზის გამო.
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების 4.8 მუხლის თანახმად საბჭო არაგადაწყვეტილებაუნარიანია, რადგან მასში სიითი შემადგენლობის 2/3 მეტი წევრი არმონაწილეობდა. შესაბამისად საბჭოს სხდომამ საინფორმაციო შეხვედრის სახე მიიღო მიიღო.

სხდომას უძღვებოდა: ნოდარ ჯიქია - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ: ნინო თვალთვაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე; ზურაბ ხურციძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი;

სხდომაზე მოწვეულები იყვნენ: დავით ზივზივაძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური სამსახურის უფროსის მოადგილე, ნათია კობახიძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური სამსახურის უფროსი სპეციალისტი; გიორგი გიორგობიანი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების, მუნიციპალიტეტის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის უფროსი; მირზა ხიდაშელი - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე.

დღის წესრიგი

1. რეგისტრაცია
2. ნოდარ ჯიქია (საბჭოს თავმჯდომარე) - დღის წესრიგის გაცნობა და კენჭისყრა.
3. ნოდარ ჯიქია (საბჭოს თავმჯდომარე) - წესდებაში ქვორუმთან დაკავშირებული ცვლილების შეტანის ინიციატივის თაობაზე.
4. ნუგზარ კოხრეიძე (საბჭოს მდივანი) - ინფორმაცია ქალაქ ქუთაისის მერიასა და საერთაშორისო კლიმატური ორგანიზაცია 350.org შორის მემორანდუმის გაფორმების თაობაზე 2050 წლისთვის 100% განახლებადი ენერგიის წყაროებზე გადასვლის შესახებ;
5. მოქალაქეთა საკითხები:

- ჭომაში ჯაჭვის ხიდიდან ვიდრე ბოტანიკურ ბაღამდე რამდენიმე "ფხიზელი პოლიციელის" დაგების თხოვნა - ქეთი ბერძენიშვილი;
- ყოფილი ციხის შენობიდან მომდინარე საფრთხეები მოსახლეობისთვის (კედლის ჩამონგრევის საშიშროება და ქვეწარმავლების მომრავლება- ქეთი ბერძენიშვილი;
- თეთრი ხიდის რეაბილიტაციის საკითხი და მისი დასრულების ვადების გაჭიანურება - ნოდარ ჯიქია;
- კახიანაურის მუნიციპალიტეტი, ევდოშვილის ქუჩაზე მიმდინარე გაჭიანურებული სარეაბილიტაციო სამუშაოები - ნუგზარ კოხრეიძე;
- შშმ პირებისთვის არაადამპტირებული ახალი გაჩერებების საკითხი - ქეთი ბერძენიშვილი.

მოპასუხე მხარე: მერიის შესაბამისი სამსახური.

6. გარემოსდაცვითი სტრატეგიის განხილვა - მომხესენებელი (ვინაობა დგინდება);

7. ანტიკორუფციული სტრატეგია - მომხსენებელი ნინო თვალთვაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;
8. ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის პროექტისა და სამოქმედო გეგმის გაცნობა - მომხსენებელი ირაკლი შენგელია, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე.
9. ეკონომიკური განვითარების გეგმა - მომხსენებელი (პირი დგინდება);
10. ვოლის- ge-ზე შემოსული მოქალაქეთა ინიციატივების შერჩევის კრიტერიუმების შემუშავება და პროექტების შერჩევა - მომხსენებელი ნინო თვალთვაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;
11. ნოდარ ჯიქია (სხდომის თავმჯდომარე) მოქალაქეთა ფორუმის გამართვის თაობაზე ინიციატივის განხილვა.
12. ნოდარ ჯიქია - სხდომის დახურვა.

ვინაიდან ქვორუმი არ შედგა საბჭომ დამსწრეთა წევრებმა ერთხმად გადაწყვეტიეს განეხილათ ის საკითხები, რომლებიც არ საჭიროებდნენ კენჭისყრას. შესაბამისად დღის წესრიგი შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბდა.

1. რეგისტრაცია
2. ნოდარ ჯიქია (საბჭოს თავმჯდომარე) - დღის წესრიგის გაცნობა და კენჭისყრა.
3. ნოდარ ჯიქია (საბჭოს თავმჯდომარე) - წესდებაში ქვორუმთან დაკავშირებული ცვლილების შეტანის ინიციატივის თაობაზე.
4. ნუგზარ კოხრეიძე (საბჭოს მდივანი) - ინფორმაცია ქალაქ ქუთაისის მერიასა და საერთაშორისო კლიმატური ორგანიზაცია 350.org შორის მემორანდუმის გაფორმების თაობაზე 2050 წლისთვის 100% განახლებადი ენერგიის წყაროებზე გადასვლის შესახებ;
5. მოქალაქეთა საკითხები:

- ჭომაში ჯაჭვის ხიდიდან ვიდრე ბოტანიკურ ბაღამდე რამდენიმე "ფხიზელი პოლიციელის" დაგების თხოვნა - ქეთი ბერძენიშვილი;
- ყოფილი ციხის შენობიდან მომდინარე საფრთხეები მოსახლეობისთვის (კედლის ჩამონგრევის საშიშროება და ქვეწარმავლების მომრავლება- ქეთი ბერძენიშვილი;
- თეთრი ხიდის რეაბილიტაციის საკითხი და მისი დასრულების ვადების გაჭიანურება - ნოდარ ჯიქია;
- კახიანაურის მუნიციპალიტეტი, ევდოშვილის ქუჩაზე მიმდინარე გაჭიანურებული სარეაბილიტაციო სამუშაოები - ნუგზარ კოხრეიძე;
- შშმ პირებისთვის არაადამპტირებული ახალი გაჩერებების საკითხი - ქეთი ბერძენიშვილი.

მოპასუხე მხარე: მერიის შესაბამისი სამსახური.

6. ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის პროექტისა და სამოქმედო გეგმის გაცნობა - მომხსენებელი ირაკლი შენგელია, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე.

7. ანტიკორუფციული სტრატეგია - მომხსენებელი ნინო თვალთვაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;
8. ეკონომიკური განვითარების გეგმა;
13. ვოლის- გე-ზე შემოსული მოქალაქეთა ინიციატივების შერჩევის კრიტერიუმების შემუშავება და პროექტების შერჩევა - მომხსენებელი ნინო თვალთვაძე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;
14. ნოდარ ჯიქია (სხდომის თავმჯდომარე) მოქალაქეთა ფორუმის გამართვის თაობაზე ინიციატივის განხილვა.
15. ნოდარ ჯიქია - სხდომის დახურვა.

აზრი გამოთქვეს:

ნინო თვალთვაძე - მან ისაუბრა: 1. სამოქალაქო ინიციატივების თაობაზე, სადაც შემოვიდა 26 ინიციატივა ჯამში. 2. ანტიკორუფციულ სტრატეგიაზე. 3. 2050 წლისთვის 100% განახლებადი ენერგიის წყაროებზე ქალაქის გადასვლის თაობაზე განცხადებაზე და იმ წარმატებებზე, რომელსაც დონორები სხვადასხვა კონფერენციებზე აღნიშნავენ, მათ შორისაა ქუთაისის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების გეგმა.

ამავე საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები გამოთქვეს: ნოდარ ჯიქია, ინგა აბრამიძე, ხვიჩა ვაშაყმაძე, ქეთი ბერძენიშვილი, ნინო ხუხუა, ნუგზარ კოხრეიძე, მამუკა თევდორაძე, თამარ ხეცურიანი, გიორგი ჭიჭინაძე, თემურ ამყოლაძე, ზურაბ ხურციძე, ბენია თხილავა, მეგი ნიჟარაძე.

სხდომაზე მოქალაქეებისგან შემოსული საკითხები განიხილეს: ჭომაში ჯაჭვის ხიდიდან ვიდრე ბოტანიკურ ბაღამდე რამდენიმე სიჩქარის შემაფერხებელი ბარიერების დაგების თხოვნა; ყოფილი ციხის შენობიდან მომდინარე საფრთხეები მოსახლეობისთვის (კედლის ჩამონგრევის საშიშროება და ქვეწარმავლების მომრავლება; თეთრი ხიდის რეაბილიტაციის საკითხი და მისი დასრულების ვადების გაჭიანურება; კახიანაურის მუნიციპალიტეტი, ევდოშვილის ქუჩაზე მიმდინარე გაჭიანურებული სარეაბილიტაციო სამუშაოები; შშმ პირებისთვის არაადამპტირებული ახალი გაჩერებების საკითხი. სხდომაზე მოწვეულმა შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელებმა საბჭოს წევრებს პასუხები გასცენ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. თეთრი ხიდის

რეაბილიტაციის საკითხი კვლავ დღის წესრიგშია და ფილების დაგების სამუშაობის 30% მდე შესრულებულია. ასევე საბჭოს წევრებმა დასვეს პროექტირების პროცედურებისა და ვადების განსაზღვრის საკითხი. გარდა ამისა, გამოვლინდა ხარვეზები გაჩერებებზე შშმ პირებისთვის ადაპტირების თვალსაზრისით და მერია მუშაობს ახალ პროექტზე, რომლელიც უზრუნველყოფს ამ საკითხს. ევდოშვილის ქუჩაზე მიმდინარე სამუშაოებს წყლის კომპანია SMK ახორციელებს, რაზეც მერიას გავლენის მოხდენა არ შეუძლია. ამ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ შეხვდებიან წყლის კომპანიას და გაუზიარებენ მათ მოსახლეობის წუხილს.
ასევე საბჭოზე პარლამენტის გადატანის საკითხთან დაკავშირებითაც გაკეთდა განცხადება, რომლის მიმართ საბჭოს წევრების უმრავლესობას ნეგატიური დამოკიდებულება აქვთ.

საბჭოს წევრები გაეცვნენ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის პროექტს და სამოქმედო გეგმას, რომელიც ირაკლი შენგელიამ, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ და ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ წარმოადგინა.

ქუთაისის მერის მოადგილემ ნინო თვალთვაძემ საბჭოს წევრებს ანტიკორიფციული სტრატეგია გააცნო, ხოლო ეკონომიკური სამსახურის წარმომადგენლებმა ეკონომიკური განვითარების გეგმა წარადგინეს. ეკონომიკური განვითარების გეგმის ერთ-ერთ საკითხს ქალაქში ელექტრომობილების 3 სადგურის განთავსებაც არის გათვალისწინებული. 2 თიბისი ბანკის მიერ განთავსდება, ხოლო 1 ქალაქის მერია დააყენებს.

საბჭოზე წევრებმა იმსჯელეს სამოქალაქო ინიციატივებზე, რომელიც ვებ-საიტ volis.ge შემოვიდა. ამ დროისთვის შემოსულია 26 ინიციატივა და საბჭომ გადაწყვიტა, რომ 22 ოქტომბერს ყველა ინიციატორს მოუსმენს და შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას რომელ 3 ინიციატივას დაუჭერს მხარს.

განხილულ საკითხთა მიმართებით აზრი გამოთქვეს: ნოდარ ჯიქია, ინგა აბრამიძე, ხვიჩა ვაშაყმაძე, ქეთი ბერძენიშვილი, ნინო ხუხუა, ნუგზარ კოხრეიძე, მამუკა თევდორაძე, თამარ ხეცურიანი, გიორგი ჭიჭინაძე, თემურ ამყოლაძე, ზურაბ ხურციძე, ბენია თხილავა, მეგი ნიჟარაძე.

ნოდარ ჯიქია (საბჭოს თავმჯდომარე) - წამოაყენა სამოქალაქო ფორუმის ჩატარების იდეა, სადაც მოსახლეობასთან ერთად განხილული იქნება 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის დასაგეგმი პროგრამები მოსახლეობასთან ერთად.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ჯიქია

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი ნუგზარ კოხრეიძე